



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “ღავთიანი საქართველოს წინააღმდეგ”

(საჩივარი № 73241/01)

ბადაყვირეტილვა

სტრასბურგი

2006 წ. 27 ივლისი

საკოლორე ბახდა
27/10/2006

წინამდებარე
გადასინჯვას

გადაწვეტილება

შესაძლოა

დაექვემდებაროს

რედაქციულ

საქმეზე დავითიანი საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა პალატის სახით (მეორე სექცია), რომელიც შემდეგი მოსამართლეებისაგან შედგებოდა:

ბ-ნი ჟ.-პ. კოსტა, პრეზიდენტი,

ბ-ნი ა.ბ. ბაკა,

ბ-ნი ი. კაბრალ ბარეტო,

ბ-ნი რ. ტიურმენი,

ქ-ნი მ. უგრეხელიძე

ქ-ნი დ. ჟოსიენე

ბ-ნი დ. პოპოვიჩი, მოსამართლეები,

და ქ-ნი სალი დოლე სექციის განმწესრიგებელი

იმსჯელა რა განმარტოებით 2005 წ. 6 სექტემბერსა და 2006 წ. 6 ივლისს, სასამართლომ გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად უდევს საქართველოს მოქალაქის ბ-ნ კარენ დავითიანის (შემდგომში „მომჩივანი“) მიერ 2001 წ. 24 მაისს ევროპული სასამართლოსადმი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი (№73241/01).

2. მომჩივანს დედა, ქ-ნი ლაურა დავითიანი, წარმოადგენდა, მცხოვრები რუსეთის ფედერაციის ქალაქ პიატიგორსკში. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდნენ: ბ-ნი ლ. ჭელიძე, შემდგომში ქ-ნები თ. ბურჯალიანი და ე. გურეშიძე საქართველოს გენერალური წარმომადგენლები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ხოლო 2005 წ. 1 სექტემბრიდან კი ბ-ნი ს. პაპუაშვილი – სახელმწიფო წარმომადგენელი.

3. მომჩივანი ძირითადად ჩიოდა პატიმრობის დროს მიყენებულ არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობასა და ციხის ადმინისტრაციის მხრიდან განხორციელებულ მცდელობებთან დაკავშირებით ეიძულებინათ იგი გამოეტანა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი საჩივარი.

4. საჩივარი სასამართლოს მეორე სექციას გადაეცა (სასამართლოს რეგლამენტის 52§1 მუხლის). პალატას, რომელსაც წინამდებარე საქმე უნდა განეხილა (კონვენციის 27§1 მუხლი) რეგლამენტის 26§1 მუხლი შესაბამისად შეიქმნა.

5. 2004 წ. 1 ნოემბერს, სასამართლომ შეცვალა სექციების შემადგენლობა (რეგლამენტის 25§1 მუხლი) და წინამდებარე საჩივარი უკვე განახლებულ მეორე სექციას გადაეცა (52§1 მუხლი).

6. 2005 წ. 6 სექტემბერს, პალატამ საჩივარი ნაწილობრივ დაშვებულად გამოაცხადა და მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა სთხოვა (რეგლამენტის 54§2 ა) მუხლი.

7. როგორც მომხივანმა, ასევე მთავრობამ წერილობით დამატებითი კომენტარები წარმოადგინეს (რეგლამენტის 59§1 მუხლი).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

8. მომხივანი, ბატონი კარენ დავითიანი საქართველოს მოქალაქეა, დაბადებული 1977 წელს. იგი 2005 წ. 9 სექტემბრამდე სასჯელს საქართველოში, ქალაქ რუსთავში იხდიდა.

9. 1992 წელს მომხივანმა დედასთან ერთად დატოვა თბილისი (საქართველო) და საცხოვრებლად ერევანში (სომხეთი) გადავიდა. ბ-ნი კარენ დავითიანი მასისში განლაგებულ მთიანი ყარაბაღის სამხედრო ბატალიონში მოხალისედ ჩაეწერა, რის გამოც განმცხადებლის დედაც ამ ქალაქში დასახლდა. დედა-შვილი გარკვეული აუცილებელი ფორმალური საკითხების მოსაგვარებლად დროდადრო თბილისში ჩამოდდიოდნენ.

10. 1999 წ. 10 მარტს ხელისუფლების შესაბამის ორგანოთა მიერ ყაჩაღობის ბრალდებით (დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით) სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით 1999 წ. 27 აპრილს მომხივანი ბრალდებულად იქნა ცნობილი, მაგრამ მისი დაკავება ვერ მოხერხდა. 1999 წ. 28 აპრილს ისანისამგორის რაიონულმა სასამართლომ წინასწარი პატიმრობის სახით აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა მომხივანს „რომელიც ემალებოდა გამოძიებას“. იმავე დღეს საგამოძიებო ორგანოთა მიერ გაიცა ბრძანება განმცხადებლის ძებნის შესახებ.

11. 1999 წ. 14 ივნისს, მომხივანი იმყოფებოდა რა თბილისის ერთერთი ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე იგი იმ ორმა მოვაჭრემ ამოიცნო, რომლებიც ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად იქნენ ცნობილნი. აღნიშნულის შესახებ მათ პოლიციას აცნობეს. გამყიდველები ამტკიცებდნენ, რომ 1999 წ. 9 მარტს მომხივანი დახვდა მათ საკუთარი საცხოვრებელი ბინის კართან და უხეში ძალადობითა და იარაღის მუქარით აიძულა ისინი შესულიყვნენ საცხოვრებელ ბინაში. მათი თქმით მომხივანი მათ ორი საათის განმავლობაში სცემდა და აწამებდა, რის შემდეგაც პირწმინდად გაძარცვა ისინი.

12. მომხივანი დაუყოვნებლივ დააკავეს და მოათავსეს სამგორის რაიონის პოლიციის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში.

13. 1999 წ. 16 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის ისანისამგორის რაიონის საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელმა, რომელიც განმცხადებლის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იძიებდა პირველი ინსტანციის რაიონულ სასამართლოს მიმართა მოთხოვნით დაედასტურებინა ბრალდებულის დაუსწრებლად (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლი) 1999 წ. 28 აპრილს მოსამართლის მიერ

გაცემული მისი დაპატიმრების ბრძანება. 1999 წ. 17 ივნისს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ დაადასტურა განმცხადებლის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული წინასწარი პატიმრობა. ბრალდებულმა კ. დავითიანმა ღამე ვარკეთილში მდებარე ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის განყოფილებაში გაატარა.

14. 1999 წ. 15 ივლისს მომხივანმა ციხის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაყვანის მოთხოვნით ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურორს განცხადებით მიმართა და აცნობა, რომ იგი ნევროზითა და ფსიქოპათიით იყო დაავადებული. 1999 წ. 2 აგვისტოს, გამოძიებულმა, რომელიც განმცხადებლის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას აწარმოებდა, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება მიიღო. 1999 წ. 4 აგვისტოს მიღებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით მომხივანი 1996 წ. 12-16 ივლისს ფსიქიატრიულ კლინიკაში სტაციონალურ გამოკვლევაზე იმყოფებოდა, იგი ფსიქიურად უფრო აღზნებული გახდა ყარაბაღში შეიარაღებული თავდასხმების დროს მიღებული ტრავმების შემდეგ, რის საფუძველზეც მას ფსიქოპათიის დიაგნოზი დაუდგინდა. ამასთან, აღრეულ ასაკში განქორწინების გამო ბრალდებული ალკოჰოლურ სასმელებს ეტანებოდა. მომხივანი ექსპერტების წინაშე ირწმუნებოდა, რომ იგი გაღიზიანებულ მდგომარეობაში მყოფი დასამშვიდებლად ზოგჯერ ზიანს საკუთარ თავს აყენებდა – მჭრელი საგნებით ხელებს ისერავდა. მარცხენა წინა მხარზე მას აუტოტრავმული წარმოშობის მრავლობითი ნაწიბურები აღენიშნებოდა. შედეგად, მომხივანს იმპულსურობა, ადვილად გამღიზიანებლობა, აუტოტრავმებისადმი მიდრეკილება და ემოციურობა დაუდგინდა, თუმცა მას აღნიშნული ფსიქიატრიული გამოკვლევის დროს ისევე, როგორც დანაშაულის ჩადენის პერიოდში შექმლო ანგარიში გაეწია საკუთარი მოქმედებებისათვის ან ეხელმძღვანელა მათთვის.

15. 1999 წ. 9 ნოემბერს ბრალდებულმა კ. დავითიანმა განცხადებით მიმართა რაიონის პროკურორს და აღნიშნა, რომ 1999 წ. 17-18 ივნისის ღამეს (იხ. ზემოთ §13) პოლიციის თანამშრომელი მისი საკნიდან ღამის სამ საათზე გამოვიდა და რომ მან მომხივანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ვერ მოახერხა რა მისგან აღიარებითი ჩვენების მიღება, პოლიციის თანამშრომელმა ბრალდებული რამდენჯერმე ელექტროდენის გამოყენებით აწამა. შედეგად მომხივანმა გონება დაკარდა. აღნიშნული არაადამიანური მოპყრობის შემდეგ დაპატიმრებულმა დაკითხვის ოქმს ხელი მოაწერა. მეორე დღეს იგი ადვოკატმა მოინახულა, რომელსაც განმცხადებელმა, ფიზიკური ანგარიშსწორების შიშით არ გაუმხილა მომხდარის შესახებ. მის მიმართ განხორციელებული წამების ფაქტთან დაკავშირებით იგი მხოლოდ ბებიას გამოუტყდა. აღნიშნულის თაობაზე მომხივანი ითხოვდა თავად დაკითხულიყო და ასევე მისი ბებიაც დაეკითხათ. ამასთან, ბრალდებული ირწმუნებოდა, რომ მას პოლიციის იმ თანამშრომლის ამოცნობაც შეეძლო, რომელმაც, მისი თქმით, აწამა იგი.

16. განმცხადებლის 1999 წ. 9 ნოემბრის საჩივართან დაკავშირებით 1999 წ. 18 ნოემბერს გამოძიებულმა, რომელსაც განმცხადებლის საქმის გამოძიების წარმოება დაევადა, შეხვდა ბრალდებულს, რომელმაც განუცხადა, რომ გამოძიებასთან ითანამშრომლებდა იმ შემთხვევაში, თუკი გენერალური პროკურორი გადაწყვეტდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის

რაიონის საგამოძიებო განყოფილების მთელი შემადგენლობის აცხადების საკითხს. მომჩივანი ირწმუნებოდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მონაწილეობას არ მიიღებდა საგამოძიებო მოქმედებებთან წარმოებაში და არ მისცემდა ჩვენებებს. საგულისხმოა, რომ მთავრობამ ზემოაღნიშნული შეხვედრის მხოლოდ ამ უკანასკნელ ასპექტზე გაამახვილა ყურადღება.

17. 1999 წ. 19 ნოემბერს, გამოძიებელმა ვარკეთილში მდებარე შინაგან საქმეთა სამმართველოს ის ორი ინსპექტორი დაკითხა, რომლებიც 1999 წ. 17

18 ივნისის დამეს სამმართველოს ქვეგანყოფილებაში მორიგეობდნენ. პოლიციის თანამშრომლები ირწმუნებოდნენ, რომ მომჩივანი მთელი დამის განმავლობაში თავისი საკნიდან არ გამოსულა და რომ მის მიმართ რაიმე ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

18. გამოძიებელმა წერილობითი ფორმით შეკითხვით მიმართა შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორის იმ პასუხისმგებელ პირს, რომელიც, სადავო პერიოდში განმცხადებლის საკანს მეთვალყურეობდა, ისევე როგორც დროებითი მოთავსების აღნიშნული იზოლატორის უფროსს. ამ საპატიმრო დაწესებულებაში მომჩივანი 1999 წ. 18-დან 22 ივლისამდე იმყოფებოდა, ვიდრე იგი ქ. თბილისის №1 საგამოძიებო იზოლატორში არ გადაიყვანეს. საპასუხო წერილებში, შესაბამისად, 22 და 24 ნოემბერს, დაკითხული პირები ირწმუნებოდნენ, რომ ბრალდებულისაგან, მისი ინტერესების დამცველისაგან ან ნათესავებისაგან კ. დავითიანის მიმართ პოლიციის მუშაკების მხრიდან ძალადობის გამოყენების ფაქტთან დაკავშირებით, სხენებული საპატიმრო დაწესებულების სახელზე საჩივარი არ ყოფილა რეგისტრირებული და რომ შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანისას მომჩივანი სხეულის დაზიანებაზე შემოწმებული არ ყოფილა, ვინაიდან მას ამის შესახებ არ განუცხადებია.

19. 1999 წ. 15 დეკემბერს, წინასწარი გამოძიება დასრულდა და მომჩივანი სასამართლოს წინაშე წარსდგა. 2000 წ. 12 ივლისს იგი დამნაშავედ ცნეს მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით და ისანისამგორის პირველი ინსტანციის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სასჯელის სახით შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით. აღნიშნული განაჩენი 2000 წ. 26 ივლისს უცვლელად დატოვა ჯერ სააპელაციო, ხოლო 2001 წ. 13 მარტს კი საკასაციო სასამართლომ.

20. 2002 წ. 27 ივლისიდან 2003 წ. 26 ივლისის ჩათვლით და 2003 წ. 27 ნოემბრიდან მოყოლებული მომჩივანი ქ. თბილისის №1 საპრობილეში იყო მოთავსებული.

21. 2003 წ. 26 თებერვალს, განმცხადებლის დედამ იუსტიციის სამინისტროს განცხადებით მიმართა და აღნიშნა, რომ მისი შვილი, რომელიც სასჯელს ქ. თბილისის №1 საპრობილეში იხდიდა, „სპეც-კორპუსის“ (საკარანტინო კორპუსი) №10 ე.წ. „წნეხის“ საკანში მასთან ერთად მყოფმა პატიმრებმა აწამეს და რომ შედეგად, მსჯავრდებულს თავის არეში ათ ადგილას დაზიანებები, ხოლო სხეულზე კი ჭრილობები აღენიშნებოდა. ვერ მოახერხა რა საკუთარი ხმა ციხის ადმინისტრაციისათვის მიეწვდინა, პროტესტის ნიშნად მომჩივანმა პირი ამოიკერა.

22. მსჯავრდებულის დედის საჩივარს თან მოჰყვა თავად განმცხადებლის მიერ 2003 წ. მარტის თვეში იუსტიციის მინისტრისადმი წარდგენილი ახსნაგანმარტებითი წერილი, სადაც იგი იტყობინებოდა, რომ ქ. თბილისის №1 საპრობილის უფროსის მოადგილე ბატონი ზ. უ. №18 საკანში (II კორპუსი) მომჩივანთან ერთად მყოფი პატიმრის დახმარებით მისგან ფულის გამოძალვას ცდილობდა. ზემოხსენებული პატიმარი და ბატონი ზ. უ., განმცხადებლის თქმით, მეგობრები იყვნენ. საპრობილის უფროსის მოადგილე ამ პატიმართან მოდიოდა და ისინი განცალკავებულ საკანში დიდხანს საუბრობდნენ. ზემოხსენებული თანამესაკნე ურჩევდა მომჩივანს, რომ თუკი მას „კარგად ყოფნა“ სურდა, მის ოჯახს, ბატონ ზ.უ.-სთვის 200 აშშ დოლარის ოდენობის თანხა უნდა მიეტანა. №17 საკანში (II კორპუსი) გადაყვანილ ბ-ნ კ. დავითიანს სხვა პატიმარი, ისიც საპრობილის უფროსის მოადგილის მეგობარი აიძულებდა ბატონი ზ.უ.-ს მობილური ტელეფონი ეყიდა. იგივე პატიმარი მის ოჯახს ციხის უფროსის მოადგილისათვის 200 აშშ დოლარის გადახდას სთხოვდა. მსჯავრდებულმა უარი განუცხადა, რის გამოც იგი კიდევ უფრო იღვინებოდა. პაემნის ოთახში გამართული შეხვედრის შემდეგ, რომლის თარიღსაც მომჩივანი არ აზუსტებს, ბატონმა ზ.უ.-მ იგი პირდაპირ „სპეც კორპუსში“ (საკარანტინო კორპუსის №4 საკანი) გადაიყვანა, ისე, რომ პატიმარმა მისი საკნიდან პირადი ნივთების გადმოტანა ვერ შეძლო. მომჩივანმა მაშინ შიმშილობას მიმართა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ციხის უფროსის მოადგილემ ბ-ნმა ზ.უ.-მ მოინახულა და უთხრა, რომ იგი გააფრთხილეს „კარგად ყოფნისათვის“ თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. 2002 წ. 29 სექტემბერს, ე.წ. №10 „წნეხის“ საკანში გადაყვანილ მომჩივანს მისმა თანამესაკნეებმა უმოწყალოდ სცემეს ისე, რომ მას დიდი ხნის მანძილზე გადაადგილება არ შეეძლო. №12 საკანში მოთავსებული კ. დავითიანი პირადად ბ-ნი ზ. უ.-ს მიერ იქნა ნაცემი. მომჩივანი აღნიშნულ წერილში იუსტიციის მინისტრს სთხოვდა მიეღო ყველა სჭირო ზომა, რათა იგი მოშორებოდა ბატონ ზ. უ.-ს და იმ პატიმრებს ვინც მასთან თანამშრომლობდა.

23. მთავრობის მიერ წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით (იხ. ზემოთ §§ 6 და 7) ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული ორ საჩივართან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის მოკვლევის ჯგუფმა მომჩივანს ბუნდოვანი და ჰიპოთეტური მოსაზრებების გარკვევის მიზნით დამატებითი ახსნაგანმარტების მიცემა მოსთხოვა, მაგრამ ეს უკანასკნელი უარს აცხადებდა დაეზუსტებინა წარდგენილი საჩივარი. განმცხადებლის ბებია ამ დაკითხვისას აღნიშნა, რომ 2002 წ. სექტემბერში პაემნის ოთახში შვილიშვილთან შეხვედრის დროს მან სხეულზე ცემის კვალი აღმოაჩინა. 2003 წ. 18 მარტს მომჩივანს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა. რა დროსაც მსჯავრდებულმა ექსპერტს განუცხადა, რომ 2002 წ. ნოემბერში მას მუშტებით, წიხლებითა და სკამის გამოყენებით უმოწყალოდ სცემეს და, რომ გარდა ამისა, მან საკუთარ თავსაც მიაყენა დაზიანებები. ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ მის სხეულზე აღმოჩენილი ნაწიბურები წარმოადგენდა ბასრი საგნით მიყენებული ისეთი ჭრილობების კვალს, რომლებიც მომჩივანის სხეულზე მისთვის ადვილად ხელმისაწვდომ ადგილას მდებარეობდა და რომ ექსპერტებს არ შეეძლოთ მათი ხანდაზმულობა დაედგინათ. დაიკითხნენ ასევე №1 საპრობილის უფროსი, მთავარი ექიმი, ინსპექტორი, ბატონი ზ. უ. და მომჩივანთან ერთ საკანში მყოფი ის პატიმრები,

რომლებიც, ბ-ნი კ. დავითიანის თქმით, ბ-ნი ზ. უ.-ს მეგობრები იყვნენ. დაკითხული პირები უარყოფდნენ განმცხადებლისათვის სავარაუდოდ მიყენებული ძალადობის ფაქტებს. გარდა ამისა, აღმოჩენილ იქნა, რომ 2002 წ. სექტემბრის თვისათვის განმცხადებლის საქმეში არც ერთი პაემანი არ ყოფილა აღნიშნული, და რომ ბებიამ იგი მხოლოდ 2002 წ. აგვისტოში და 2003 წ. იანვარში მოინახულა. ამასთან 2002 წ. 27 სექტემბერიდან 10 ოქტომბერამდე მომჩივანი V კორპუსის №59 საკანში იყო მოთავსებული.

24. ამ პირობებში, მოკვლევის ჯგუფმა „მათი მხრიდან ყველა საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების მიუხედავად“ კ. დავითიანის სხეულის განძრახ დაზიანების მიყენების შესაძლო ფაქტი და მიმყენებელ პირთა ვინაობა ვერ დაადგინა. უფრო მეტიც, მომჩივანი ჰიპოთეტიური ტონით ამტკიცებდა, რომ „მას ეგონა, ბ-ნი ზ. უ. მას ფულს სძალავდა“. ვერ მოიპოვა რა ის უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა განსახილველი ძალადობის აღნიშნულ ფაქტს, მოკვლევის ჯგუფმა 2003 წ. 2 აპრილს მიიღო დადგენილება სისხლის სამართლის საქმის არ აღძვრის შესახებ, რაც 2003 წ. 9 აპრილს დადასტურებულ იქნა გენერალური პროკურატურის მიერ.

25. აღნიშნული დადგენილების გასაჩივრება პროკურატურასა და სასამართლოში შესაძლებელი იყო 15 დღის ვადაში, რაც გარკვევით იყო მითითებული დადგენილების სარეზოლუციო ნაწილში.

26. მომჩივანი ირწმუნება, რომ იგი ციხის თანამშრომელთა მხრიდან განიცდიდა ზეწოლას იმის გამო, რომ მას ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივარი გამოეცანა.

27. 2004 წ. 15 მარტს მომჩივანმა იუსტიციის მინისტრს განცხადებით ხელახლა მიმართა, სადაც აღნიშნა, რომ მას „დასცინოდნენ, სცემდნენ, ამცირებდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ და ყოველგვარ ინტრიგებს უწყობდნენ“. მსჯავრდებულმა თვითგადარჩენის მიზნით საპყრობილის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში გადაყვანა მოითხოვა.

28. აღნიშნული საჩივარის პასუხად, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის მოკვლევის ჯგუფის მიერ დაიკითხა მომჩივანი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ მას №1 საპყრობილის ადმინისტრაციის მიმართ რაიმე სახის პრეტენზია არ ჰქონდა, და რომ იგი ამ დაწესებულებაში დარჩენას მოითხოვდა. მას არ დაუსახელებია იმ პირთა ვინაობა, რომელთაც მის მიმართ ზეწოლა განახორციელებს. ამდენად, მისი მოთხოვნა ციხის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში გადაყვანის შესახებ უარყოფილ იქნა.

29. 2004 წ. აპრილში იუსტიციის სამინისტრომ №1 საპყრობილის ადმინისტრაციას განმცხადებლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო ზომების გატარება მოსთხოვა. შედეგად, მსჯავრდებულის მოთხოვნის საფუძველზე, 2004 წ. 16 აპრილს იგი განმარტოებით საკანში გადაიყვანეს. 2005 წ. 12 თებერვლიდან მომჩივანი სასჯელს რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იხდიდა. 2005 წ. 9 სექტემბერს მომჩივანი პირობით ვადამდე გათავისუფლდა.

II. შიდა სამართალი

30. იმ დღის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში „სსსკ“)

მუხლი 61 § 1

„() წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გამოძიებლები.“

მუხლი 62 § 1

„სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.“

მუხლი 269. (გაუქმებულია 2005 წ. 25 მარტიდან)

„დადგენილება () სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს 15 დღის ვადაში პროკურორთან ან სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ.“

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის საგარეულო დარღვევა

31. მომჩივანი ჩივის, რომ იგი 1999 წ. 17 ივნისს, წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსების შემგომ, გახდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი, მის მიმართ წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა გრძელდებოდა ასევე სასჯელის მოხდის პერიოდშიც. ამდენად, განმცხადებლის თქმით, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. ამ მუხლის მიხედვით:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.“

1. მხარეთა არგუმენტები

32. მიუთითებს რა მე-16-მე-18 პარაგრაფებში ფორმულირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, მთავრობა აღნიშნავს, რომ 1999 წ. 17-18 ივნისის დამეს განმცხადებლის მიმართ რაიმე ძალადობას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება სასჯელის მოხდის პერიოდს, მომჩივანი თავისი გულჩათხრობილი ხასიათის გამო ჩვეულებრივზე მეტი ოდენობის პაემნების უფლებით სარგებლობდა. თავის თავდაპირველ მიმოხილვაში მთავრობა ირწმუნებოდა, რომ მომჩივანს ციხის ადმინისტრაციისათვის ზეპირი ფორმითაც კი არასოდეს უცნობებია მიყენებული ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით.

33. რაც შეეხება განმცხადებლის საჩივრებზე რეაგირების საკითხს, მთავრობა მიუთითებს მე-16-18, 23-24-ე და 27-28-ე პარაგრაფებში ფორმულირებულ საქმის გარემოებებს და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

34. მთავრობის მიმოხილვების პასუხად გაგზავნილ მიმოხილვებში მომჩივან მხარეს არ წარუდგენია რაიმე სახის საპასუხო კომენტარები სასამართლოს მოთხოვნის შესაბამისად ხელისუფლების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ §§ 6 და 7). თავის დამატებით მიმოხილვებში მომჩივანი შემოიფარგლა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ სხვა და სხვა ასპექტების კრიტიკით, რამაც მისი მსჯავრდება განაპირობა.

2. სასამართლოს შეფასება

ა) არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ

35. მომჩივანი ჩივის, რომ 1999 წ. 17 ივნისს წინასწარი პატიმრობის დროს იგი აწამეს ელექტროშოკის გამოყენებით. ამას გარდა, განმცხადებლის მიმართ არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა ხორციელდებოდა სასჯელის მოხდის პერიოდშიც (ციხის უფროსის მოადგილის მიერ განმცხადებლის ცემის ფაქტი; მასთან ერთად პატიმრობაში მყოფ პირთა მიერ მიყენებული დაზიანებები; ზეწოლა, დამცირება, ნორმალური, ადამიანური მოპყრობის სანაცვლოდ ფულის გამოძალვა და სხვა.)

36. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. (საქმე „Chahal v. United Kingdom“ 1996 წ. 15 ნოემბერი, აღეკვატურად უნდა იქნას უზრუნველყოფილი (საქმე „Kalashnikov v. Russia“, გადაწყვეტილებათა და გადაწყვეტილებათა კრებული 1996-V, §96). აღნიშნული კი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს ყველა პატიმრისათვის ადამიანური ღირსების პატივისცემის შესაფერი პირობების უზრუნველყოფას, რათა შეფარდებული სასჯელის ზომამ არ ჩააგდოს იგი იმაზე მეტ განსაცდელში და არ დათრგუნოს იმ ინტენსივობით, რომელიც აღემატება პატიმრობისათვის დამახასიათებელი შინაგანი ტანჯვის ჩვეულ დონეს და, რომ პრაქტიკაში არსებულ პატიმრობის პირობებისათვის აუცილებელ მოთხოვნათა შესაბამისად, დაპატიმრებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი კეთილდღეობა № 47095/99, §95, 2002-VI).

37. ამასთან, მითითებული სავარაუდო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი ევროპული სასამართლოს წინაშე შესაბამისი მტკიცებულებებით ოუნდა იყოს დასაბუთებული (საქმე „Berktaş v. Turkey“ №22493/93, §165, 2001 წ. 1 მარტი). იმისათვის, რომ დაადგინოს მითითებული ფაქტები სასამართლო იყენებს მტკიცებულებათა შეფასების ისეთ კრიტერიუმს რომელიც „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს სცილდება“ (საქმე „Farbutuhs v. Lithuania“, № 4672/02, §54, 2004 წ. 2 დეკემბერი). „გონივრული ეჭვი“ არის ეჭვი, რომლის მიზეზები შესაძლოა დასაბუთებულია, (საქმე „Anguelova v. Bulgaria“, მითითებული ფაქტებიდან გამომდინარეობდეს. ხოლო არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც ასეთ ეჭვს სცილდება უნდა წარმოადგენდეს იმ ფაქტობრივი მონაცემების ან დადასტურებული

ვარაუდების ერთობლიობას, რაც უტყუარი, ზუსტი და № 38361/97, §111, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2002-IV; საქმე „Shamayev and others v. Georgia and Russia”, n 36378/02, §338, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2005-...).

38. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოსათვის შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღების საფუძველი (საქმე „Labita v. Italy“ [GC], ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან განმცხადებლის მიმართ განხორციელებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტის დადგენა მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ ეროვნული ხელისუფლებისა და ევროპული სასამართლოსადმი წარდგენილ სხვადასხვა საჩივარში ფორმულირებულ პრეტენზიებზე დაყრდნობით იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს საკმარისი, უტყუარი და ზუსტი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა ერთი მხრივ, ხელისუფლების შესაბამის ორგანოთა წარმომადგენლების მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობას (იხ. ქვემოთ §§ 46-47), ხოლო მეორე მხრივ, განმცხადებლის არათანმიმდევრობას და უარს გამოძიების საწარმოებლად ეთანამშრომლა ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან (იხ. ზემოთ §§ 23, 24 და 28 და ქვემოთ §§50 და 54-56). საქმის მასალები არ შეიცავს ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გასცდებოდა „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს“ და გახდებოდა ამგვარი № 26772/95, §129, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2000-IV; საქმე „Poltoratskiy v. Ukraine“, № 38812/97, §§ 122-124, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2003-V).

39. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ პატიმრობის პერიოდში განმცხადებლის მიმართ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

40. მაგრამ, სასამართლოს თქმით, როდესაც მომჩივანი ირწმუნება, რომ პოლიციის თანამშრომელთა ან სხვა სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან უკანონო და კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებებს, სხენებული დებულება ამავე კონვენციის 1-ლ მუხლთან მიმართებით, რომელიც წევრ სახელმწიფოებს თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველა პირისათვის კონვენციის I თავში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულებას აკისრებს, ასეთ შემთხვევაში ოფიციალური და ეფექტიანი გამოძიების წარმოებას მოითხოვს (საქმე “Assenov and others v. Bulgaria”, 1998 წ. 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, კრებული 1998-VIII, გვ. 3290, §§ 102-103 ; საქმე “Martinez Sala and others v. Spain”, n 58438/00, § 156, 2004 წ. 2 ნოემბერის გადაწყვეტილება). აღნიშნულმა გამოძიებამ უნდა უზრუნველყოს კონტროლს ექმდებარებიან (საქმეები “Khachiev and Akayeva v. Russia”, პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კანონიერი აკრძალვა იქნება პრაქტიკულად უშედეგო და მიუხედავად მისი ფუნდამენტური ღირებულებისა, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფო მოხელეებს, სრულიად დაუსჯელად ფეხქვეშ გაათელონ იმ პირთა უფლებები, რომლებიც მათ ოს 57942/00 და 57945/00, § 177, 2005 წ. 24 თებერვალი).

41. კონვენციის მე-3 მუხლის ეს პროცედურული მხარე თავს იჩენს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით ხელისუფლების მხრიდან განმცხადებლის საჩივრებთან მიმართებით დროული და ეფექტიანი რეაგირების არარსებობის პირობებში (საქმე “Ilhan v. Turkey” [GC], n 22277/93, §§ 89-93).

42. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ სასამართლოსათვის მიწოდებული იმ დეტალური და ზუსტი ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეიცავს მონაცემებს განმცხადებლის მიმართ სხვადასხვა დროს განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ადგილის, დროის, ხანგრძლივობის, პროცედურის შესახებ, ასევე ის მტკიცებულებები, რომელიც ფორმულირებულია მის 1999 წ. 9 ნოემბრისა და 2003 წ. მარტში წარდგენილ საჩივრებში, სადაც იგი ღიად იხსენიებს პოლიციელებისა და №1 საპყრობილის უფროსის მოადგილის მიერ მისი წამების ფაქტებს, ასევე ის გარეობა, რომ ხელისუფლების მხრიდან გამოვლენილი უმოქმედობის გამო ბ-ნმა კ. დავთიანმა პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა ევროპულ სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას ივარაუდოს, რომ პატიმრობის პერიოდში განმცხადებლის მიმართ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან შესაძლოა მართლაც ჰქონოდა ადგილი კონვენციის მე-3 მუხლის საპირისპირო მოპყრობას (ზემოხსენებული საქმე “Poltoratskiy“ §§ 60, 70 და 126).

43. თუმცადა, სასამართლომ უნდა განიხილოს საკითხი იმის შესახებ განმცხადებლის სხვადასხვა დროს წარდგენილ საჩივრებს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოთა მხრიდან შედეგად მოჰყვა თუ არა სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიება.

ბ) განმცხადებლის საჩივრებთან დაკავშირებით წარმოებული მოკვლევის შესახებ

ი. განმცხადებელი 1999 წ. 9 ნოემბრის საჩივარის შესახებ

44. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1999 წ. 9 ნოემბერს, მომჩივანმა ვარკეთილის (ისანი-სამგორის რაიონი) რაიონის პოლიციის განყოფილებაში 1999 წ. 17-18 ივნისის ღამეს (წინასწარი პატიმრობის პერიოდში) მის მიმართ განხორციელებულ არაადამიანური მოპყრობისა და ელექტროშოკით წამების ფაქტთან დაკავშირებით რაიონულ პროკურორს საჩივრით მიმართა და საგამოძიებო მოქმედებათა წარმოება მოითხოვა. ბ-ნ კარენ დავთიანი ირწმუნებოდა, რომ მის საჩივართან დაკავშირებით წარმოებული მოკვლევის დროს, უნდა დაეკითხათ ბებია, ვისაც მან მომხდარის შესახებ გაანდო, ასევე პოლიციის ის თანამშრომელი, რომელმაც განმცხადებლის მტკიცებით ზიანი მიაყენა მას და რომლის ამოცნობასაც ბ-ნი დავთიანი შეძლებდა.

45. სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიებელი, რომელსაც დაევალია განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებით მოკვლევა ეწარმოებინა, ერთის მხრივ შეხვდა ბრალდებულ დავთიანს, ხოლო მეორეს მხრივ დაკითხა განსახილველ პერიოდში – 1999 წ. 17-18 ივნისის ღამეს, პოლიციის ორი

პასუხისმგებელი ინსპექტორი. პოლიციის თანამშრომლები იწმუნებოდნენ, რომ განმცხადებლის მიმართ აღვილი არ ჰქონია წამებისა და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ფაქტს. გამომძიებლის მიერ დაკითხული წინასწარი პატიმრობის შესაბამისი საკნის გუშაგი და იზოლატორის ხელმძღვანელი, რომლებმაც მომჩივანი 1999 წ. 18 ივნისიდან მიიღეს ამტკიცებდნენ, რომ მომჩივანს ან მის ახლობლებს სავარაუდო წამების ფაქტებთან დაკავშირებით არანაირი საჩივარი არ წარუდგენია, და რომ 1999 წ. 18 ივნისს ზემოხსენებულ იზოლატორში მისი მოთავსების მომენტიდან, იგი სხეულის დაზიანებაზე ექიმის მიერ შემოწმებული არ ყოფილა, ვინაიდან მას ამის შესახებ არ განუცხადებია.

46. ზემოთმოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე სასამართლო ასკვნის, რომ გამომძიებელმა, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედებათა წარმოება დაევა, დაიწყო მოკვლევა და განმცხადებლის არგუმენტთა დასაბუთებულობის შემოწმებას შეუდგა. თუმცა მან არც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დანიშნა და არც პოლიციის შესაბამისი თანამშრომლები დაუპირისპირა მომჩივანს, მაშინ როცა ბრალდებულს იმ პოლიციელის ამოცნობა შეეძლო, რომელმაც მისი თქმით აწამა იგი. გამომძიებელმა არც ბ-ნ კარენ დავთიანის ბებია – ის ეთადერთი მოწმე დაკითხა ვისაც მან, ელექტროშოკით წამების შემდეგ, მომხდარის შესახებ გაანდო. სინამდვილეში გამომძიებელი დაკმაყოფილდა პოლიციის იმ თანამშრომლების მოსაზრებების შეკრებით, რომლებიც უარყოფდნენ განმცხადებლის ჩვენებებს, ასევე თავისუფლების აღკვეთის აღვილის იმ პასუხისმგებელ პირთა პასუხების მიღებით, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ მათ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდათ განმცხადებლის წამების სადავო ფაქტთან დაკავშირებით. მთავრობის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან არ ჩანს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სხვა რაიმე საგამოძიებო მოქმედებათა წარმოებას ჰქონოდა შემდგომში აღვილი. სრულიად არ არის ნათელი თუ რა დასკვნები გამოიტანა გამომძიებელმა მის მიერ განხორციელებულ ზემოხსენებულ შემოწმებათა წარმოების შედეგად. ყოველ შემთხვევაში განმცხადებლის 1999 წ. 9 ნოემბრის პრეტენზიების დასაბუთებულობის დამადასტურებელი ან უარყოფელი გადაწყვეტილება დღემდე არ ყოფილა მიღებული. საქმის მასალებიდან არც ის ირკვევა, რომ ბ-ნი კარენ დავთიანი უარს აცხადებდა ეთანამშრომლა გამოძიებასთან (იხ. ქვემოთ §50 და შემდეგი პუნქტები). სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ მომჩივანმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის რაიონული განყოფილების იმ გამომძიებელთა აცილება მოითხოვა, რომლებიც მისი საქმის გამოძიებას აწარმოებდნენ, მთავრობის არგუმენტის მსგავსად არ შეიძლებოდა შეფასებულიყო – როგორც 1999 წ. 9 ნოემბრის საჩივართან დაკავშირებით განმცხადებლის მხრიდან საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარის თქმა (იხ. ზემოთ გადაწყვეტილების პუნქტი 16). ევროპული სასამართლო თვლის, რომ საგამოძიებო მოქმედებათა მხოლოდ დასაწყისი სტადია, რაც ადრეულ ეტაპზე შეწყდა რაიმე გადაწყვეტილების მიღების გარეშე, კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილ და ეფექტიან გამოძიებად (იხ. *mutatis mutandis*, „Selmouni v. France“ [GC], no 25803/94, §§ 78-81, CEDH 1999-V) ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი რეაგირების არარსებობა უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი იმ მომენტისთვის დაავადებული იყო ერთგვარი ფსიქიური

აშლილობით და როგორც მთავრობა ირწმუნებოდა გულჩათხრობილი და საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანი გახლდათ .

47. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის 1999 წ. 9 ნოემბრის საჩივართან დაკავშირებით წარმოებული მოკვლევებიდან გამომდინარე ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

ii. განმცხადებლის 2003 წ. თებერვალსა და მარტში წარდგენილი საჩივრების შესახებ

48. სასამართლო იმთავითვე აღნიშნავს, რომ განმცხადებლისა და მისი დედის აღნიშნულ საჩივრებს საფუძვლად დაედო მსჯავრდებულ კ. დავითიანისადმი მიყენებული არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ის პერიოდი, რომელიც მან №1 საპყრობილეში გაატარა. საქმის სხვადასხვა გარემოებიდან ირკვევა, რომ ეს პერიოდი 2002 წ. ივლისიდან ნოემბრამდე არსებულ დროის მონაკვეთს მოიცავს.

49. განმცხადებლისა და მისი დედის აღნიშნულ ორ საჩივარზე რეაგირების მიზნით, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის მოკვლევის ჯგუფმა მომჩივანს დამატებითი ახსნა-განმარტება მოსთხოვა, მაგრამ ეს უკანასკნელი უარს აცხადებდა წარდგენილი პრეტენზიები დაეზუსტებინა. შემდეგ, ბუნდოვანი და ჰიპოთეტური ვარაუდების გამოთქმით მსჯავრდებული კ. დავითიანი თავის დაძვრენას ეცადა, მაგალითად, მისი თქმით, მას მოეჩვენა, რომ ადგილი ჰქონდა ფულის გამოძალვის მცდელობას. დაკითხვისას განმცხადებლის ბებიამ დაადასტურა, რომ 2002 წ. სექტემბერში პაემნის ოთახში შვილიშვილთან შეხვედროს დროს მან სხეულზე ცემის კვალი შენიშნა. მაგრამ განმცხადებლის საქმეში არსებული მონაცემების მიხედვით, გამოძიებამ აჩვენა, რომ 2002 წ. სექტემბრის თვეში მსჯავრდებულ კ. დავითიანთან ერთი პაემანიც კი არ ყოფილა რეგისტრირებული, და რომ ბებიამ იგი მხოლოდ 2002 წ. აგვისტოსა და 2003 წ. იანვარში მოინახულა. გამოძიების ფარგლებში დაინიშნა ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. მსჯავრდებულმა ექსპერტს განუცხადა, რომ 2002 წ. ნოემბერში მას მუშტებით, წიხლებითა და სკამით უმოწყალოდ სცემეს და რომ ამას გარდა მან საკუთარ თავს თავადაც მიაყენა დაზიანებები. 2003 წ. 18 მარტს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ განმცხადებლის სხეულზე აღმოჩენილი ნაწიბურები წარმოადგენდა ბასრი საგნით მიყენებული ისეთი ჭრილობების კვალს, რომლებიც სხეულზე მისთვის ადვილად ხელმისაწვდომ ადგილას შეინიშნებოდა და რომ ექსპერტებს არ შეეძლოთ მათი ხანდაზმულობა დაედგინათ. დაკითხნენ ასევე №1 საპყრობილის უფროსი, მთავარი ექიმი, ინსპექტორი, ბატონი ზ. უ. და მომჩივანთან ერთ საკანში მყოფი ის პატიმრები, რომლებიც, ბ-ნი კ. დავითიანის თქმით, ბ-ნი ზ. უ.-ს მეგობრები იყვნენ. დაკითხული პირები უარყოფდნენ განმცხადებლისათვის სავარაუდოთ მიყენებული ძალადობის ფაქტებს. გარდა ამისა, მოკვლევამ დაადგინა, რომ 2002 წ. 27 სექტემბერიდან და 10 ოქტომბერამდე მომჩივანი V კორპუსის №59 საკანში იყო მოთავსებული, მაშინ, როდესაც მჯავრდებული კ. დავითიანი ჩიოდა, რომ

2002 წ. 29 სექტემბერს იგი №10 ე.წ. „წინის“ საკანში იმყოფებოდა. ამ პირობებში მოკვლევის ჯუფმა დაადგინა, რომ მათი მხრიდან გამოვლენილი უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, ყოველმხრივ შემოწმებულიყო განმცხადებლის მიერ მიცემული ჩვენებები, მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება ვერ მოხერხდა. შედეგად, 2003 წ. 2 აპრილს ზემოაღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებით მიიღებულ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ, რაც 2003 წ. 9 აპრილს გენერალური პროკურატურის მიერ დადასტურდა.

50. სასამართლოს მხედველობიდან არ გამორჩენია ის ფაქტი, რომ ფსიქოპატიით დაავადებული მომჩივანი, ბასრი საგნის – დანის – გამოყენებით სხეულს ისერავდა, ამდენად, გამორიცხული არ იყო, რომ მსჯავრდებულ კ. დავითიანის დედის 2003 წ. 26 თებერვალის საჩივარში მითითებული განმცხადებლის „სხეულზე აღმოჩენილი ჭრილობები“ შესაძლოა აუტოტრავმული წარმოშობის ყოფილიყო, მით უფრო თუ 1999 წ. 4 აგვისტოსა და 2003 წ. 18 მარტს წარმოებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროს მომჩივანმა თავად დაადასტურა ამ სახის თვითდაზიანებების მიყენების ფაქტი (იხ. ზემოთ §§ 14 და 23). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა პრეტენზიები, რომელსაც ზემოაღნიშნული განსახილველი საჩივარი შეიცავდა ეხებოდა განმცხადებლისათვის მიყენებულ ძალადების ფაქტებს, ჩადენილს ციხის არმინისტრაციის თანამშრომლებისა და მათი დავალებით მსჯავრდებულ კ. დავითიანთან ერთ საკანში მყოფი პატიმრების მიერ. მაგრამ ხელისუფლების მცდელობებს ნათელი მოეფინა სწორედ ამ უკანასკნელი ფაქტებისათვის, მომჩივანი მოვლენებისა და თარიღებისა არათანმიმდევრულობასა (იხ. ზემოთ § 49) და მათთან თანამშრომლობაზე უარს უპირისპირებდა, რითაც მერყეობის საკმაო საფუძველს ქმნიდა. სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი მოქმედებებისა და საგამოძიებო ჯგუფისათვის დახმარების გაწვევის სურვილის არარსებობის პირობებში მომჩივანმა არ შეიძლება სამართლიანად უსაყვედუროს ხელისუფლებას აღნიშნულ პრეტენზიებთან დაკავშირებით გამოძიების სრულყოფილად წარმოების შესახებ. სინამდვილეში, მოკვლევის ორგანო მოკლებული იყო იმ ძირითად მტკიცებულებებს, რომლის მიწოდებაც მისთვის მხოლოდ მომჩივანს შეეძლო. გარდა ამისა, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ მომჩივანმა არ გამოიყანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლით გათვალისწინებული იერარქიული და სასამართლო წესით გასაჩივრების ის შესაძლებლობა, რომელსაც მას 2003 წ. 2 აპრილის დადგენილებასთან მიმართებით იმ დროს მოქმედი შიდა კანონმდებლობა ანიჭებდა (იხ. ზემოთ in fine §§ 25 და 30). შესაბამისად, მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა გაესაჩივრებინა სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ მიღებული დადგენილება. უფრო მეტიც, მომჩივანმა არც ერთი არგუმენტი არ დაუპირისპირა მთავრობის დამატებით მიმოხილვებში ფორმულირებულ წერილობით მტკიცებულებებს (იხ. ზემოთ § 6 და §§ 33-34). თავად სასამართლომ საქმის მასალებში ვერაფერი აღმოაჩინა რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მთავრობის მოსაზრებების ნამდვილობას განსახილველი მოკვლევის ირგვლივ არსებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

51. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებულ არაადამიანური

და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ 2003 წ. თებერვალსა და მარტში წარდგენილი საჩივარების საფუძველზე ჩატარებულ მოკვლევასთან მიმართებით აღგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

iii. 2004 წ. 15 მარტის საჩივარი

52. აღნიშნულ საჩივარში მომჩივანი იუსტიციის მინისტრის წინაშე ასაჩივრებდა №1 საპყრობილეში მის მიმართ განხორციელებული ცემის, დაცინვის, დამცირებისა და ყოველგვარი ინტრიგების მოწყობის ფაქტებს.

53. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის მოკვლევის ჯგუფის მიერ დაკითხული მომჩივანი ირწმუნებოდა, რომ №1 საპყრობილის ადმინისტრაციის მიმართ მას არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა. მან ასევე არ დაასახელა ციხის ის თანამშრომლები და მასთან ერთად პატიმრობაში მყოფი ის პირები, რომლებმაც გარკვეული სახის ზეწოლა განახორციელეს მის მიმართ.

54. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ 2003 წ. თებერვლისა და მარტის საჩივრების მსგავსად (იხ. ზემოთ § 50) მომჩივანი 2004 წ. 15 მარტის განცხადების საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ჯეროვანი წარმოების მიზნით არ დაესმარა ხელისუფლებას. პირიქით, მან შეცვალა აღნიშნულ საჩივარში ფორმულირებული მოსაზრებები, უარყო წარდგენილი პრეტენზიები და დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლენის მიზნით გამოძიებასათვის რაიმე სახის ინფორმაცია არ მიუწოდებია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანმა არც ერთი არგუმენტი არ დაუპირისპირა მთავრობის დამატებით მიმოხილვებში ფორმულირებულ წერილობით მტკიცებულებებს (იხ. ზემოთ § 6 და §§ 33-34), მან არც კი განმარტა ასეთი უკანდახევის მიზეზი. მაგალითად, ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოების არც ერთ სტადიაზე მომჩივანს არ აღუნიშნავს რომ იგი ამგვარად ზეწოლის ან დაშინების მიზეზით მოქმედებდა (cf. a contrario, იხ. ზემოთ 1999 წ. 9 ნოემბრის საჩივართან დაკავშირებით, § 15).

55. ამასთან, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის მერყევი პოზიციის მიუხედავად 2004 წ. აპრილში იუსტიციის მინისტრმა №1 საპყრობილის ადმინისტრაციას სთხოვა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მომჩივანის მიმართ უსაფრთხოების ზომები გაემკაცრებინა (იხ. ზემოთ § 29).

56. ზემოთ მოყვანილ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანის მხრიდან ხელისუფლების დადანაშაულება 2004 წ. 15 მარტის იუსტიციის მინისტრისადმი წარდგენილი საჩივრის საფუძველზე სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებით ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან მოგვიანებით მან ყოველგვარი დასაბუთებული მოტივის გარეშე თავად უარყო ზემოხსენებული საჩივარი.

57. შედეგად ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო აღგენს, რომ განმცხადებლის მიმართ სავარაუდოთ განხორციელებულ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ 2004 წ. 15 მარტის საჩივართან დაკავშირებით აღგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

II. კონვენციის მე-34 მუხლის საგარეულო დარღვევა

58. 2003 წ. 27 დეკემბრისა და 2004 წ. 13 იანვრის წერილების მეშვეობით განმცხადებლის წარმომადგენელმა ევროპული სასამართლოს წინაშე არსებითად განსახილველად წარადგინა კონვენციის 34-ე მუხლიდან გამომდინარე პრეტენზიები. იგი ირწმუნებოდა რომ „ციხის თანამშრომლები“ და „კანონიერი ქურდები“ (ქურდები, რომლებიც კრიმინალურ წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ) რეგულარულად შედიოდნენ მის საკანში და მსჯავრდებულს ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივარის გამოტანას აიძულებდნენ.

59. კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით:

„სასამართლოს შეუძლია მიიღოს საჩივარები ნებისმიერი ფიზიკური პირის(გან), არასამთავრობო ორგანიზაციის ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.“

60. მთავრობამ №1 საპრობილის უფროსის საპასუხო წერილი წარადგინა, სადაც იგი ირწმუნებოდა, რომ ციხის ადმინისტრაციამ ევროპულ სასამართლოში მსჯავრდებულ კ. დავთიანის მიერ შეტანილ საჩივართან დაკავშირებით მხოლოდ 2004 წ. 18 მაისს შეიტყო, მას შემდეგ, რაც ევროპულ სასამართლოში საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენელმა მას განმცხადებლის საჩივარის შესახებ შესაბამისი წერილით მიმართა. მსჯავრდებულ კ. დავთიანს ციხის ადმინისტრაციის დახმარებით ევროპული სასამართლოსათვის რაიმე სახის კორესპოდენცია არ გაუგზავნია. ამდენად, აღნიშნული სასჯელდარღვევითი დაწესებულების ადმინისტრაცია არ შეიძლებოდა ინფორმირებული ყოფილიყო წინამდებარე საჩივართან დაკავშირებით და შესაბამისად იგი მომჩივანს საჩივარის გამოტანას ვერ მოსთხოვდა. მთავრობამ წარმოადგინა იმ სამი საჩივრის ჩამონათვალი, რაც მსჯავრდებულმა აღნიშნულ სასჯელდარღვევით დაწესებულებაში მოთავსების მომენტიდან, №1 ციხის ადმინისტრაციის მეშვეობით სხვადასხვა შიდა უწყებებში წარადგინა.

61. სამთავრობო მიმოხილვებში მითითებულ ამ არგუმენტთან დაკავშირებით მომჩივანს საპასუხო მოსაზრება არასოდეს წარუდგენია.

62. სასამართლო გვახსენებს რომ 34-ე მუხლით დადგენილი ინდივიდუალური სარჩელის წარდგენის მექანიზმის ეფექტიანობის მიზნით, უდიდეს მნიშვნელობას იძენს ის, რომ რეალური თუ პოტენციური მომჩივანი სასამართლოსთან კომუნიკაციის წარმოების პროცესში იყოს თავისუფალი, ისე, რომ იგი არანაირი ფორმით არ აღმოჩნდეს ხელისუფლების წნეხის ქვეშ, რაც მას საჩივარის გამოტანას ან მასში არსებული პრეტენზიების შეცვლას აიძულებს. სიტყვა „წნეხი“ არ შეიძლება გაგებულ იქნას როგორც მხოლოდ პირდაპირი ძალდატანება ან აშკარა დაშინება, განხორციელებული რეალური თუ პოტენციური განმცხადებლის, მისი ოჯახის ან სასამართლოში მისი

წარმომადგენლის მიმართ, ასეთ ზეწოლაში მოიაზრება ასევე ის არაპირდაპირი და არაკეთილსინდისიერი მოქმედებები თუ ურთიერთობები, რაც მიმართული იქნება იმისკენ, რომ მან (მომჩივანმა) გადაიფიქროს ან სურვილი დაკარგოს ისარგებლოს კონვენციით მინიჭებული გასაჩივრების აღნიშნული საშუალებით (იხ. სხვა საქმეებს შორის, *mutatis mutandis*, საქმე „Kurt v. Turkey“, 1998 წ. 25 მაისის გადაწყვეტილება, კრებული 1998-III, გვ. 1192, §159; საქმე „Sarlı v. Turkey“, n 24490/94, §§ 85-86, 22 მაისი 2001).

63. მოცემულ შემთხვევაში მომჩივანი ჩივის იმ პირდაპირი და არაპირდაპირი მცდელობების შესახებ, რომელსაც №1 საპყრობილის ადმინისტრაცია მის მიმართ ახორციელებდა იმ მიზნით, რომ მსჯავრდებულს უარი ეთქვა ევროპულ სასამართლოში შეტანილ საჩივართან დაკავშირებით. აღნიშნულს ციხის ადმინისტრაცია უპირისპირებს ამ სასჯელაღსრულებითი დაწესებულების უფროსის საპასუხო წერილს, სადაც იგი ირწმუნება, რომ ადმინისტრაცია წინამდერარე საჩივარის არსებობის შესახებ არც კი ყოფილა საქმის კურსში, ვინაიდან მომჩივანს ციხის ადმინისტრაციის მეშვეობით ევროპულ სასამართლოში რაიმე სახის კორესპოდენცია არასოდეს გაუგზავნია.

64. მიიჩნია რა, რომ აღნიშნული პრეტენზიის დასაბუთებულობის შესახებ მის ხელთ არსებული საქმის მასალების მიხედვით შეუძლებელი იყო რაიმე გადაწყვეტილების მიღება, სასამართლომ მომჩივან მხარეს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა სთხოვა (იხ. ზემოთ § 6). მაგრამ მომჩივანს 34-ე მუხლიდან გამომდინარე პრეტენზიების არსებით განხილვასთან დაკავშირებით რაიმე სახის მტკიცებულება ან დაზუსტებული ინფორმაცია არ წარუდგენია, იგი არ შეხებია ასევე საქმის რაიმე სხვა გარემოებას.

65. მის ხელთ არსებული საქმის მასალების მიხედვით, სასამართლო თავის მხრივ აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ განმცხადებლის სახელით ევროპული სასამართლოსათვის წარდგენილი ყველა კომუნიკაცია გაიგზავნა მისი წარმომადგენლის მიერ, რომელიც პიატიგორსკში, რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს (იხ. ზემოთ §2). მომჩივანს ევროპული სასამართლოსათვის არ წარუდგენია მტკიცებულებათა რაიმე საწყისი ნაწილიც კი, რის საფუძველზე იგი დაასაბუთებდა რომ ციხის ადმინისტრაცია მის საჩივართან დაკავშირებით ინფორმირებული იყო მთავრობის წარმომადგენლის იმ წერილს მიიღებამდე, რომელიც მსჯავრდებულის კონვენციის 34-ე მუხლიდან გამომდინარე პრეტენზიებს ეხებოდა. შედეგად კი შესაძლებელი გახდებოდა იმის მტკიცება, რომ განმცხადებლის მიმართ ციხის ადმინისტრაციის მხრიდან მართლაც ადგილი ჰქონდა საჩივარის გამოტანის მოთხოვნის მცდელობას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის ეს პრეტენზია ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულია.

66. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე ევროპული სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის მიმართ ადგილი არ ჰქონია კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევას.

III. კონვენციის მე-41 მუხლის გამოყენება

67. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად: \

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

68. მომჩივანი ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი საჩივარის ფორმულარში შემოიფარგლა მხოლოდ იმის მტკიცებით, რომ მიყენებულ ზიანს იგი ერთ მილიონ ამერიკულ დოლარად აფასებდა. თუმცა, საჩივარის დაშვებადობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სასამართლოს მოთხოვნის შესაბამისად, მას მიყენებული ზიანის, გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნით რაიმე პრეტენზია არ წარუდგენია.

69. სასამართლო გავახსენებს, რომ იგი სამართლიანი დაკმაყოფილების სახით გარკვეული ოდენობის თანხას არ გასცემს მანამ სანამ სასამართლოს რეგლამენტის მე-60 მუხლის (§1) შესაბამისად, კონკრეტულად გაანგარიშებული პრეტენზიები დამადასტურებელ საჭირო დოკუმენტებთან ერთად, მითითებულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი, იმ შემთხვევაში თუკი მომჩივან მხარეს (საქმე „Fadi I Yilmaz v. Turkey“, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი კომენტარები სასამართლოსათვის სამართალწარმოების შესაბამის სტადიაზე არ მიუწოდებია №28171/02, §26, 2005 წ. 21 ივლისი).

70. მიუხედავად ამისა, სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით გამოტანილი დასკვნის (იხ. ზემოთ § 47). საფუძველზე თვლის რომ მომჩივანმა გარკვეული მორალური ზიანი მიიღო.

71. შედეგად, საქმის სპეციფიკურ გარემოებებთან გათვალისწინებით, სასამართლო მომჩივანს სამართლიანი დაკმაყოფილების სახით მორალური ზიანის ასანაზღაურებასთან დაკავშირებით 3.000 ევროს ანიჭებს.

ბ) საურავი

72. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი

ზემოსხენებულისა და გამოდინარე სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ:

1. პატიმრობის პერიოდში განმცხადებლის მიმართ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას;

2. ადგილი ჰქონდა კონვენციის მ-3 მუხლის დარღვევას განმცხადებლის 1999 წ. 9 ნოემბრის საჩივართან დაკავშირებით სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიების არარსებობის გამო;

3. განმცხადებლის სხვა საჩივრებთან მიმართებით ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას;

4. ადგილი არ ჰქონია კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევას; 5. სასამართლო ასევე ადგენს, რომ:

ა) მოპასუხე სახელმწიფომ 3 თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც წინამდებარე გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გახდება საბოლოო, გადახდის დღეს დადგენილი კურსის შესაბამისად, მომჩივანს ეროვნულ ვალუტაში გადაუხადოს 3.000 ევრო (სამი ათასი ევრო) მიყენებული მორალური ზიანისათვის, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რაც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის გადახდამდე, აღნიშნულ თანხას, გადაუხდელობის პერიოდში, დაერიცხება პროცენტი, რომელიც თანაბარი იქნება ევროპის ცენტრალური ბანკის მინიმალურ სასესხო განაკვეთისა, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე და 2006 წ. 27 ივლისს გაცხადებულია წერილობით, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლის შესაბამისად.

ს. დოლე
განმწესრიგებელი

ჟ.-პ. კოსტა
პრეზიდენტი